ჩვენი დღიური გარდუვალი მოთხოვნილებაა ჩვენი ნაციონალური მთავრობის განმტკიცება, მთელი სახელმწიფოებრივი აპარატის უმაღლესად განკარგება, გაჯანსაღება. არევ-დარეული საზოგადოებრივი მექანიკა ანარქიის პირმშო შვილია მხოლოდ, ხალხს იგი დასცემს, გაქლეტს, გაავერანებს. ჩვენ ერთ წუთსაც ვერ შევურიგდებით ასეთს მდგომარეობას.

ყოველ ცოცხალ ეროვნულ ძალას მართებს სავსებით გაიმსჭვალოს მსგავსი შეგნებით. დღეს მრავალი ადამიანი იცქირება არა ნაციონალური ცხოვრების განკარგების სიღრმეში, არამედ სულ სხვა მხარეს, ზღვების და ტბების გადაღმა, საიდანაც მოელიან ნაციონალური საქმის გაკეთებას. ჩვენ ეხლაც იმ აზრის გახლავართ, რომ საქართველოს მიმდინარე საქმეებს ვერც ის გააკეთებს, ვინც სხვათა ავანტიურას ეყრდნობა, ვერც ის, ვინც საკუთარ ცხოვრების გულის ნაცვლად ორიენტაციებში დანავარდობს.

ჩვენ შეგვიძლიან მთელი ჩვენი ცხოვრება დავკარგოთ და დავანგრიოთ ზღვის პირას კარგი ტაროსის ცდაში, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს პოლიტიკა გაცილებით ავანტიურისტულია ვიდრე ანტანტის მთელი შემოქმედება.

ჩვენ უნდა სავსებით ჩავეშვათ ჩვენი ცხოვრების ზღვაში და დიდი გაჭირვების ხანაში დიდი შრომით, დიდი მუყაითობით, დიდი გარჯით და მომჭირნეობით გავამაგროთ ზღუდეები ჩვენი ნაციონალური ცხოვრებისა. მუშათა ცხოვრება მუშებისავე საქმეა!—ეს ლოზუნგი საჭიროა პრაქტიკაში გადავიტანოთ და საკუთარის ხელებით, საკუთარი ძალით დავეხმაროთ ჩვენი ცხოვრების მუშაკთ საქმეების მოგვარება-მოწესრიგებაში.

ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჩვენ პირდაპირ გაოცებული ვართ იმ მდგომარეობის გამო, რომელიც არსებობს საბჭოთა დაწესებულებებში. ჩვენ ყველგან ვამჩნევთ სრულს ქაოსს და საქმების არევას, ჩვენ არც ერთს დარგში არ ვხედავთ ნამდვილს მუშაობას. ყველგან ლაზღანდარობა, ლაზღანდარობა და ლაზღანდარობაა. შექმნილია საოცრად დიდი და რთული აპარატები, რომელნიც პაწაწკინტელა საქმეებს თავს ვერ ართმევენ. საკვირველი ბიუროკრატიზმი, საოცარი გულცივობა და უმოქმედობაა ყველგან. ვიძახით დიდი შრომაა საჭირო, მაგრამ ვამტკიცებთ უშრომობას და უმოქმედობას.

ხედავს თუ არა ყოველივე ამას მუშათა და გლეხთა ინსპექცია? რას შვრება ეს დაწესებულება? რა ზომებს იღებს იგი?

ჩვენ გვჭირია არა თუ თავგამოდებითი შრომა, არამედ თვით შრომის ეკონომიაც. მრავალი ხალხია დაწესებულებებში და არაფერს აკეთებენ. უამრავი „ჩიოვნიკები" გვემატება კიდევ რუსეთიდან ყოველ დღე. ჩვენ ჩინოვნიკებით არა თუ არა ვართ ღარიბი, პირ-იქით ჩინოვნიკების სიმრავლემ ლამის მოგვსპოს.

ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი დაწესებულებების გენერალურ გაწმენდას ყოველ გარეშე ძალებისაგან. საქმეებში უნდა ჩავრიოთ ვისაც სურს და ვისაც სწამს ნაციონალური ცხოვრების გაჯანსაღება. დასუსტების პოლიტიკის ხაიჯზე გაძლიერების პოლიტიკის წარმოება—აი ჩვენი მიზანი, დაუხდომელი ბრძოლა ამ მიმართულებით, სწრაფი ზომები, სასტიკი ხაიჯები.

ამავე დროს უმაღლეს კანონად დაისახოს ყოველივე საქმის სასწრაფოდ და გადაუდებლივ შესრულება. დღეს ხვალიობა გვღრღნის ყველას, ერთი საათის საქმეს უხდებით თვეებით. ეს სამაგალითო ხასიათი ჩვენი დაწესებულებების გაკოტრებისა. ბოლო უნდა მოეღოს ამ ვაკხანალიას!

სასტიკი ზომები უნდა გავატაროთ დაწესებულებების ნაციონალიზაციისათვის. სახელმწიფოს თავიდან ბოლომდე უნდა მიეცეს ხაზგამწიფოებრივი ელფერი და საქართველოში ყველა გრძნობდეს, რომ იგი საქართველოშია და არა ბუზმენების სამეფოში.

დიახ, ბევრი საქმეა გასაკეთებელი. პრაქტიკა და სალი ნაციონალური პოლიტიკა უნდა დაუკავშიროთ ერთმანეთს, ფხიზელი ყურადღება ყოველ საქმეს და სახელმწიფოს ორგანოებში მკვდარი სულების ლიკვიდაციით აღვადგინოთ შრომა და სიცოცხლე.

განიერი.

# ჩვენი ტრიბუნა

თითქმის ოცი წელიწადია, რაც ჩვენი პარტიის ტრიბუნიდან ისმის მძლავრი ხმა ეროვნულ საკითხის შესახებ, ოცი წელიწადია რაც მცირე ერების საკითხის გაკვლევაში ნათელ გზაზე დააყენა საქართველოს სოციალ.-ფედერალისტთა პარტიამ მრავალი მოძულე და უგუნური მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან. ჩვენ პარტიამ მოუწოდა პირველად რათა ეროვნული საკითხი უმთავრესად ყოფილიყო რევოლიუციონურ მოძრაობათა მსვლელობაში პირველ ადგილზე, რაც ბევრ სოციალისტს და ინტერნაციონალისტს სიცილადაც არ ჰყოფნიდა. მაგრამ რევოლიუციის მსვლელობამ თავისი ქმნა, ცხოვრების სინამდვილემ ბასრი მახვილი გაავლო მრავალ პარტიათა პროგრამებს, ძირიან-ფესვიანად შეიცვალა მრავალი სოციალისტურ პარტიათა იმპერიალისტური სულისკვეთება მცირე ერების განთავისუფლების მიმართ. ვინც ახლო წარსულში ეროვნულ იდეიასთან ბრძოლას აწარმოებდა, ის ჯგუფი, რომელთა მეთაურობით ქართველ ერის წმიდათა წმიდა, მისი ეროვნული დროშა ფეხქვეშ ითელებოდა, სწორედ დღეს ამ ლოზუნგებით მოუწოდებს ხალხს საქართველოს საკეთილდღეოთ.

„ნაციონალიზმით ინტერნაციონალიზმისაკენ"—ქადაგებდა არჩილ ჯორჯაძეაი ერთი სწორი გზა. ეს გზა არის ის ნამდვილი გზა რომლის აზვავაც უნდა ბევრს, მაგრამ ვერავინ ასცდება მას.

სიტყვა მათი არის ერთი მაგრამ ცხოვრების სინამდვილე მათ თავის კალაპოტში აყენებს. ჩვენ ვამბობთ რომ მხოლოდ ერის დარაზმულ მშრომელ მასსას, ამ შემთხვევაში საქართველოს მუშათა კლასს, შეუძლია როგორც ასეთს შევიდეს საერთაშორისო მუშათა კავშირში—ინტერნაციონალში. ხშირათ ერთ და იმავე მიმართულების გაზეთში („კომუნისტი", „Правда Грузии", „Красный воин") შეხვდებით ამ დებულების საწინააღმდეგო აზრებსაც და მის დამცავ პოზიციის გამტარებელსაც, მაშინ როდესაც ერთ მათგანში ვკითხულობთ, რომ „К интернационализму путь лежит через национальную независимость" „Красний воин" № 110 21. V. 1921) მეორეში კი ამ დებულებას ვითომდა არღვევენ, როგორც შოვინიზმის და ზოოლოგიურ ნაციონალიზმის დამთესველ დებულებას.

აღსანიშნავია რომ საერთოდ ყველა მარქსისტულ მიმდინარეობას მის მოქმედების დასაწყისში მუდამ ახლდა ანტი ეროვნული სულისკვეთება, რომელიც თანდათან იცვლებოდა, თანდათან სწორ ნიადაგს პოულობდა. და აი ასეთ უკუღმართ შეხედულების და მიმართულების გამოსწორებაში დიდი დვაწლი მიუძღვის ჩვენი მშრომელ ხალხის წინაშე იმ პარტიას, რომლის დროშასაც პირდაპირ გარკვევით ეწერა „ნაციონალიზმით ინტერნაციონალიზმისაკენ" რომელსაც მუდამ მაღლა ეკავა როგორც ნაციონალური—ეროვნული, ისევე ინტერნაციონალური რევოლიუციონური დროშა. და ჩვენი ტრიბუნა ამ დიდ რევოლიუციის წიაღში იყო ერთად ერთი, საიდანაც გაისმოდა მქუხარე ხმა მძლავრი ძახილი ერის მშრომელ მასსის, სამშობლოს განთავისუფლებისათვის, იმ ნამდვილ თავისუფლებისათვის, რომელიც სწყუროდა ხალხს, რომელსაც მუდამ ელტვოდა მშრომელი ხალხი. და დღესაც როდესაც კვლავ მრავალი, იმპერიალიზმით გაჟღენთილი შავრაზმელები ამოფარებია იმ წითელ დროშას, რომელსაც ერების განთავისუფლება, ერების აყვავება აწერია, ჩვენ კვლავ გვჭირდება შეუდგარი ბრძოლა, შეუდგარი ძახილი, რათა არ ილახებოდეს საქართველოს მშრომელ ხალხის წმიდათა წმიდა, ქართველ ერის ეროვნული სულისკვეთება.

როგორც ამ ოციოდე წლის წინათ ჩვენი პარტიის ტრიბუნიდან საქართველოს მშრომელ ხალხის მოამბენი არჩილ ჯორჯაძე, გიორგი მაიაშვილი და სხვანი მოუწოდებდნენ ჩვენს სამშობლოს მშრომელ მასებს ერის უფლებების აღსადგენათ, ისევე იმავ ტრიბუნიდან ჩვენი წინამძღოლების სახელით კვლავ მოვუწოდებთ ჩვენს მშრომელ ხალხს, საქართველოს მუშათა კლასი გამხნევებული იყოს მუდამ და ფხიზლად ედგეს საქართველოს ინტერესებს, რომელიც არის ინტერესები მშრომელი ხალხისა.

მაშ, გაუმარჯოს ჩვენ „ტრიბუნას".

ხოსო ახლანიშვილი.

# ჩვენი გზა

1.

ჩვენს ახალგაზრდობას.

ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი ორიენტაცია აუცილებლად უნდა იყოს ორიენტაცია რევოლიუციაზე. მაგრამ ზერელე შეხედულება იქნებოდა ეს, თუ ჩვენ განუხილავად დავტოვებთ ერთ უმთავრეს დებულებას, რომელიც თავის მხრივ ააშკარავებს თანამედროვე ეპოქის ხასიათს. ეს დებულებაა შემდეგი: დღეს გარდამავალი ხანაა, გარდამავალი პერიოდია კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ.

ამ საკითხის გარჩევისათვის ორი გზაა: პირველია მარქსისტული, რომელიც ობიექტიური სოციოლოგიის კონცეპციას ემყარება, მეორეა გზა აქტუალი, რევოლიუციონური სოციალიზმის, რომელიც ისტორიოსოფიაში სუბიექტიური მეთოდით ხელმძღვანელობს.

ამიტომაა ორი ნათელი კითხვა ჩვენს წინაშე: თუ გარდამავალი პერიოდია თანამედროვე ეპოქა, იმ შემთხვევაში ან ობიექტიური ფაქტორები უნდა არსებობდენ, ახალ სოციალურ ფორმაციაში გადასვლის, ან სუბიექტიური სამზადისი უნდა იყოს საკმაო, რევოლიუციონური გზით შესაძლებელი რომ გახდეს კაპიტალიზმის დამარცხება.

ჩვენ ორივე კითხვას გარკვეული პასუხი უნდა მივცეთ და ამ პასუხის დასაბუთებაში ვპოვოთ ამა თუ იმ გზის სისწორე, რომელიც მოითხოვს ერთი კაპიტალისტურ მეურნეობის გამტკიცებას მოითხოვს, ადიაბატს ნაადრევად კაპიტალიზმის დეგენერაციას, ხოლო მეორე სოციალისტურ რევოლიუციის ნიადაგზე დგას და ბრძოლას უცხადებს კაპიტალიზმს.

მაშასადამე პირველი საკითხი, ობიექტიური სოციოლოგიის კონცეპციის ნიადაგზე უნდა იქნეს დასმული და უნდა შეიცავდეს შემდეგს: არის თუ არა კაპიტალიზმის განვითარება დასრულებული?

ჩვენ ვიცით ფინანსიური კაპიტალის ეკონომიური პოლიტიკა იმპერიალიზმში გამოიხატა. დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში კაპიტალისტური კონკურენცია, კაპიტალის კონცენტრაციათა და მონოპოლიზაციით შეიცვალა კერძო კაპიტალისტთა წარმოების ნაცვლათ კარტელებისა და ტრესტების სისტემა ჩამოყალიბდა. ბანკების ხელში დაგროვდა სიამრთე კაპიტალი და ცენტრ. ბანკის მისწრაფება კონკურენციის შესუსტებისაკენ მიილტვის ანარქიულმა წარმოებამ აფეთქა დაუთმო წარმოების რეგულაციას, რომელიც შესაძლებელი ხდება ცენტრალ ბანკების და კარტელების საშუალებით.

ამ უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში ინგლისის უმთავრესი ბანკების რიცხვი შემცირდა 104-დინ—40-მდე ე. ი. 60 პროც. ხოლო რიცხვი მათი განყოფილებებისა გაიზარდა 2,203-დან—5,582-მდე, ე. ი. 150 პროც.

საფრანგეთში დიდ ბანკები არის 4—6 და ამაშია მოცემული მილიარდები, გერმანიაში 6—8 ბანკში არის მთელი სიმდიდრის უდიდესი ნაწილი დაგროვილი, ამერიკაში მილიარდერების როკფელერისა და მორგანის 2 ბანკში ირიცხება 11 მილიარდი მარკა.

კაპიტალის კონცენტრაციას თან მოყვა წარმოების მონოპოლია და ერთი მუჭა მონოპოლისტების ბატონობა. გერმანიაში, რევოლიუციამდე 300 მონოპოლისტის ხელში იყო მთელი ნაციონალი წარმოება.

მონოპოლიზაციის უმაღლესი ფორმა კარტელი და იგი გავრცელებულია ამერიკაში, გერმანიაში ინგლისში საფრანგეთში და ბელგიაში.

მე-20 საუკ. დასაწყისში მთელი ამერიკის რკინის გზების 3 მეოთხედი ექვსი ფინანსიური ჯგუფის ხელში იყო.

მორგანის და როკფელერის ხელშია არა მარტო ამერიკის რკინის გზების თითქმის ნახევარი, არამედ მათ ხელშია ყველა დიდი ბანკები და ისინი უდგანან სათავეში მთელი მსოფლიოს უდიდეს ტრესტებს. როკფელერის ჯგუფში შედის 15 დიდი ტრესტი 30,000,000 დოლარით. მორგანის ჯგუფში შედის 20 უდიდესი ტრესტი 2,230,000 დოლარით და მრავალი წვრილი ტრესტები.

მონოპოლიური კაპიტალის სწრაფვა ბაზრის ძიებისათვის მთელი მსოფლიო დაიკავა და ჩამორჩენილი ქვეყნები გაიყო კაპიტალისტურად განვითარებულმა ქვეყნებმა, არა თუ წარმოების გატანით დაკმაყოფილდა კაპიტალისტური ქვეყნები. არამედ თვით კაპიტალის ექსპორტი მოახდინა. გატანილი კაპიტალის რაოდენობას უცხოეთში შემდეგი ცხრილი განსაზღვრავს: (მილიარდ მანკებში გატანილი იყო).

| წლები | ინგლ. | საფრან. | გერმან. |
|---|---|---|---|
| 1862 | 36 | — | — |
| 1872 | 15 | 10 (1869) | — |
| 1882 | 22 | 15 (1880) | ? |
| 1893 | 42 | 20 (1890) | ? |
| 1902 | 62 | 27—37 | 12,5 |
| 1904 | 75—100 | 60 | 44. |

აქედგან აშკარაა, რომ მე-20 საუკ. იწყება კაპიტალის გიგანტიური გატანა გატანილ კაპიტალის რაოდენობას კოლონიის სიდიდის პროპორციით აიხსნება, ხოლო კოლონიები კი ინგლის ყველაზე უფრო მეტი ჰქონდა და აქვს. ინგლისის კოლონიებში მცხოვრებთა რიცხვი 1914 წ. ითვლებოდა 393,5 მილ. მაშინ, როდესაც მეტროპოლიაში იმავე წელს ითვლებოდა მხოლოდ 46.5 მილ. მცხოვრები. საფრანგეთშიაც იმავე წლის (ე. ი. 1914 წ.) ანგარიშით, უფრო ნაკლები მცხოვრები ითვლებოდა 39,6 მილ. ხოლო კოლონიებში ნეტო 55,5 მილ. მცხოვრები.

მაშასადამე, თანამედროვე კაპიტალიზმის უმაღლესი განვითარების ეტაპი არის იმპერიალიზმი და კოლონიალი პოლიტიკა. თუ რა მიზნები აქვს მეტროპოლიას კოლონიებში, თუ როგორი საშუალებით შედის კაპიტალისტური ქვეყნები ჩამორჩენილ ქვეყნებში, ამის შესახებ ჩვენ გვქონდა საუბარი, ეხლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ობიექტიურად კაპიტალიზმის მეტი განვითარება ევროპაში შეუძლებელია. ფინანსიური კაპიტალის ეკონომიურმა პოლიტიკამ, იმპერიალიზმმა, თავისი მისია შეასრულა და არც ერთი ქვეყანა აღარ არის დარჩენილი, რომელიც კოლონიზაციის ობიექტს წარმოადგენდეს გარდა ცენტრალ აზიისა, საითკენაც არის დღეს მიპყრობილი ევროპის ყურადღება. მაგრამ აზიის დიდხანს გაჩერება შეუძლებელია. კაპიტალისტურმა მეურნეობამ უნდა მონახოს ახალი ეტაპი თავის განვითარების, ეკონომიკის ეს გზა სოციალიზმია. მაშასადამე თავისი იმანენტური, შინაგანი ძალებით კაპიტალიზმის დეგენერაცია აუცილებელია.

მაგრამ აქ ბუნებრივად კითხვა იბადება: გამართლდა თუ არა ობიექტიური სოციოლოგიის კონცეპცია სოციალიზმისაკენ გზის შერჩევაში. როგორი შედეგის წინაშე სდგას მარქსისტული თეორია ისტორიული პროცესის გაგებაში, თავის ისტორიოსოფიაში?

ამოიწურება თუ არა მარქსიზმით მთელი ეს ორომტრიალი და ობიექტიური კულტურის პროცესი? სად არის საჭიროება გენერალური კრიტიკისა და სად ჩნდება დიდი ძალა ჩვენი საკუთარი ისტორიოსოფიისა?

ამაზე ცალკე.

სერგო ამაღლობელი.

# ახალი ამბები

— უმაღლესი სახალ. სამეურ. საბჭო აცნობებს საქართველოს რევკომს, რომ ახვლედი ავიჯის ქარხანაში ამ ჟამად არის მზად 13 დუზინი ვენის სკამები და ამას გარდა არის მრავი დასამზადებელ სკამებისა 100 დუზინი. ქარხანას შეუძლია გამოუშვას ყოველ დღე 3—4 დუზინი სკამი.

— საბჭოთა მართლმსაჯულობა. 12 აგვისტოს რევ. ტრიბუნალში გაირჩა საქმე აბხ. ოგანეზოვისა, რომელსაც ბრალად ედებოდა სიმთვრალე, ცოლის ცემა და სხვა. ამ წლის 9 ივნისს ბრალ. ოგანეზოვი დათვრა და დასცემა მსუბუქად მაკრატლითა და ბოთლით თავისი მეუღლე. რაიონის მილიციაში, სადაც მიყვანილი იქმნა ოგანეზოვი იგი კვლავ განაგრძობდა უწესობას. ოგ-ნე[...] რევ. ტრიბუნალმა [...] ბით საზოგადოებრივ [...] ვადით.

— ამერიკ[...] ტრალურ მუშათა კლუბის შესა[...] ამერიკელმა ჟურნალისტმა ბ. როსტ[...] რომელიც ჩამოყვა ამერიკულ დე[...] ციას, დაათვალიერა ცენტრალურ[...] ბი მთელი თავისი განყოფილ[...] სტუმარს ძლიერ მოეწონა კლუბის [...] განიზაცია და აღნიშნა, რომ ამერიკაში არ არის ამის მსგავსი. იქ მუშათა კლუბები შექმნილია კაპიტალისტების ხარჯზე და გლახად არიან მოწყობილნი სტუმრების წიგნში ჟურნალისტმა ინგლისურ ენაზე დიდი ქება უძღვნა [...] შათა კლუბს და უთხრა მას აყვა[...] კლუბის წარმომადგენლებს განუცხ[...] რომ ტფილისის კლუბისა და [...] ორგანიზაციის შესახებ ის მოათავ[...] წერილებს ამერიკის ყველა გაზეთე[...] და ჟურნალებში.

— ამერიკული დელეგაცია. ამერიკული დელეგაციის ზოგიერთი წევრები უკვე გაემგზავრნენ ამერიკაში. სომხეთში მოგზაურობამ დელეგატებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. მათი სიტყვით მხარე საჭიროებს დიდს დახმარებას, რაც გამტარებული იქნება ყოველგვარი საშუალებით. დელეგაციამ დასტოვა სომხეთში ერთი თავისი წევრი აგრიკულტურის სპეციალისტი და ხელმძღვანელი, დელეგაციის მეორე ნაწილი გაემგზავრა მოსკოვში, რომ ადგილობრივ გაეცნონ რუსეთში გამეფებულ შიმშილს და უბედურებას. დელეგაცია კმაყოფილი დარჩა ადგილობრივ კომიტეტის მოდვაწეობით და აგრეთვე მადლობა გამოუცხადა საქ. საბჭოთა მთავრობას იმ მზრუნველობისათვის, რომელიც გამოიჩინა მან ამერიკული კომიტეტისადმი.

## საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

კვირას, 21 ამ თვეს, სად. 7 საათზე გაზეთ „ტრიბუნას" რედაქციაში დანიშნულია დრ. მთ. კომიტეტისა და პროფესიონ. ორგანიზაციათა წარმომადგენელთა სხდომა. წევრთა დასწრება სავალდებულოა. განსარჩევია კონფერენციის საკითხი.

# უცხოეთი

ესტონია-ლატვია-ლიტვის შეთანხმება „ლატვიას სარგსი" და „ლატვიას კარეივისი" ერთდროულად, ცხადია შთაგონებით ზევიდან, აგიტაციას ეწევიან ესტონია-ლატვია-ლიტვის სამთა შეთანხმებაზე. „ლატვია სარგე" ხაზ გასმით ამბობს, რომ ასეთი კავშირი უნდა შეიკრას საჩქაროდ, რათა მოვლენათა მსვლელობამ დაინტერესებული მხარენი აცილოს ყოველივე მოულოდნელ და უცაბედ შემთხვევებს. „ლატვიას კარეივის" ი წინადადებას იძლევა დაითანხმონ ფინლიანდიაც კავშირში შესვლაზე.

შეთანხმებულთა შეერთება.

„სოციალ-დემოკრატი" გვაცნობებს, რომ ლატვიის ს.-დ. პარტიამ მიიღო ინგლისის მუშათა პარტიის მდივნის ჰენდერსონისაგან წერილობითი წინადადება მიიღონ მონაწილეობა მოსალოდნელ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც მოწვეულნი არიან სოციალისტური პარტიები ყველა ქვეყნებისა. კონფერენციის მიზანია—დაარსოს ახალი ყველას დამტევი ინტერნაციონალი, რომ ადგილი არ ექნეს შემდეგში განხეთქილებას. კონფერენციაზე არის მოწვეული აგრეთვე საერთაშორისო გაერთიანების ვენის აღმასრულებელი კომიტეტი ჰენდერსონი წერილში სხვათა შორის ასახელებს ბრაიტონის ყრილობის რეზოლიუციას სადაც ნათქვამია: კონგრესს სურს დაამყაროს კავშირი მეორე და ვენის ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტებს შორის, რომ ამით მომზადდეს შეერთება და აცილებულ იქმნას შემდეგი განხეთქილებანი.

იაპონიის იმპერიალიზმის უტიფრობა.

ინგლისის მთავრობამ მიიღო ცნობა იაპონიის მთავრობისაგან, რომ გამოურკვეველ და დაუწყნარებელი მდგომარეობის გამო აღმოსავლეთ ციმბირში, იაპ[...]

პონია იძულებული დატოვოს ჯარების ნაწილები ვლადივოსტოკსა სახალინსა და სხვა სანაპირო ადგილებში, როგორც ბრიტანიის მთავრობას მოეხსენება სახალინი იაპონიას ანექსიის წესით არ დაუკავებია. იაპონიის მთავრობა გაიყვანს თავის ჯარებს ციმბირიდან მას შემდეგ რაც რომ დაიდება ხელშეკრულება „კანონიერ რუსეთის მთავრობასთან“.

# იმპერიალიზმი და რევოლუცია აღმოსავლეთში

8.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან აზიის ცხოვრება შეიცვალა. ახალმა ფაქტორებმა აღმოსავლეთის ხალხთ ახალი ამოცანები აღუძრეს და ამ კითხვების ნიადაგზედ ახალი ძალები წარმოიშვა.

რაში გამოიხატება ეს ახალი იდეები აღმოსავლეთისათვის? პარვუსი თავის წიგნში ჯერ კიდევ 1908 წელში სწერდა აღმოსავლეთის შესახებ: „როგორც ამერიკაში მე-19 საუკუნეში, ისე ახლა აზიაში აქვემ ევროპიდან განთავისუფლების პროცესი, ქვეყნები თანდათან იძენენ ეკონომიურს და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას“ *) პარვუსის ამ დებულებას ერთგვარი განმარტება ესაჭიროება, მე-19 საუკუნე ეს არის გაცხარებულ კოლონიალურ პოლიტიკის ეპოქა, როდესაც დიდი სახელმწიფონი შეუდრეკელის ენერგიით ეძიებდნენ საექსპლოატაციო ობიექტებს და თან და თან თითქმის მთელი მსოფლიო დაუმორჩილეს თავიანთ ბატონობას ასე რომ ეს ეპოქა არა ერთა და ხალხთა ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას გამოხატავს, არამედ ამ დამოუკიდებლობის დაკარგვას. მაგრამ, მეორეს მხრით იმპერიალიზმის ძალდატანებამ აღმოსავლეთის ხალხში იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის საწინააღმდეგო მოვლენებს შეუმზადა ნიადაგი. კოლონია დაპყრობილი და ჩამორჩენილი მხარეები იარაღით ხელში დაუპირისპირდა ევროპის ბატონობას. კოლონიას ამოძრავებდა ამ შემთხვევაში ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოების სურვილები და მიზნები. ბრძოლა კოლონიასა და მეტროპოლიას შორის მრავალი ათეული წლების საყურადღებო მომენტებით ხასიათდება, რის შესახებ ჩვენს წერილებში უკვე გვქონდა მოყვანილი ცნობები, მაგრამ არ ყოფილა ღირსშესანიშნავი ფაქტი აღმოსავლეთში კოლონიის სრული განთავისუფლებისა მეტროპოლიის ბატონობისაგან.

იმპერიალიზმისა და ფინანსიური კაპიტალის შეჭრამ აღმოსავლეთში გააძლიერა საშინელი რეაქცია, გაადრმავა არსებული წინააღმდეგობანი, გაამწვავა იქ შექმნილი სოციალური ურთიერთობანი. რ. გილფერდინგმა მეცნიერული ანალიზი გაუკეთა კოლონიების ახალ ისტორიას. ავტორი აღნიშნავს იმპერიალიზმის დამოკიდებულებას ნაციონალურ ჩაგვრის გამწვავებასთან და დასძენს: „რაც შეეხება ახლად აღმოჩენილ ქვეყნებს, იქ შეტანილი კაპიტალი აძლიერებს წინააღმდეგობებს და იწვევს თანდათანობითი ზრდას ნაციონალურ თვითშემეცნებამდე გამოღვიძებულ ხალხთა დაპირისპირებას უცხოელთა წინააღმდეგ; ეს დაპირისპირება სრულიად ადვილად შეიძლება უცხო კაპიტალის წინააღმდეგ მიმართულ საშიშ ზომებში ჩამოყალიბდეს. ძველი სოციალური ურთიერთობანი ძირშივე იმოსება რევოლუციით, იმსხვრევა ათასი წლიანი აგრარული განკერძოება „ისტორიის გარეშე მყოფ ნაციებისა“, ისინი ებმიან კაპიტალისტური წყობილების ურთიერთობაში. თვით კაპიტალიზმი აწვდის ცოტ-ცოტაობით დამონებულთ იარაღსა და საშუალებას თავისუფლებისათვის. ისინიც ისახავენ ისეთს მიზნებს, რომელიც ერთ დროს ევროპის ნაციებს უმაღლესად მიაჩნდათ: შექმნა მთლიანი ნაციონალური სახელმწიფოსი, როგორც იარაღის ეკონომიური და კულტურული თავისუფლებისათვის. ეს მოძრაობა დამოუკიდებლობისაკენ ემუქრება ევროპის კაპიტალს თავის ყველაზე უფრო სასარგებლო საექსპლოატაციო ოლქებში, რომელნიც მათ ყველაზე მეტ ბრწყინვალე პერსპექტივებს უშლიდა, და ევროპის კაპიტალს შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ბატონობა მხოლოდ მუდმივი სამხედრო ძალების გადიდებით“.*)

გილფერდინგმა თავის ანალიზში განსაკუთრებითი ყურადღება ნაციონალურს მომენტს მიაპყრო და მეცნიერულის სისწორით აღნიშნა ის დიდი მოძრაობა აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს დამონებულ კოლონიალურ ხალხთა შორის რომ აღმოცენდა იმპერიალიზმისა და ინდუსტრიალიზმის ჩაგვრის ნიადაგზე. ეს მოძრაობა ეროვნული ხასიათისაა და მის შინაარსს შეადგენს ევროპის ბატონობისაგან განთავისუფლება და პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოება ნაციონალურს საფუძველზე.

ნაციონალურმა მონობამ და ჩაგვრამ სხვა და სხვა გვარი პარტიებს შეუმზადა ნიადაგი. პირველი საგრძნობი ძალა ნაციონალური მოძრაობისა გასული წლის მეოთხმოცე წლებში გამოჩნდა. რომელმაც თავისი სიტყვა სთქვა ინდოეთის ნაციონალურ კონგრესში. ეს მოძრაობა თავისუფლად თავსდებოდა კონსტიტუციონალურ რეფორმების პარტიის ჩარჩოებში და ამიტომ ბრიტანეთის მთავრობამ ადვილად შესძლო მისი მიმხრობა. კონგრესის პასიურმა მოქმედებამ გამოიწვია უკმაყოფილება ახალგაზრდა ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში და წასული საუკუნის დასასრულს შესდგა ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა ძალით ჩამოგდება ბრიტანეთის ბატონობისა ინდოეთში. ეს ჯგუფი ნამდვილ რევოლუციონერებისაგან შესდგებოდა და მათ ასულდგმულებდათ კეთილშობილი მიზანი საზღვარი დაედვათ ხალხის ტანჯვისათვის. ტერორისტული აქტები შეიქმნა ამ ჯგუფის მთავარი მოქმედების სარბიელი. „თავისუფალი სამშობლოს“ ლოზუნგებმა მრავალ ახალგაზრდა ინტელიგენტურ ძალებს მოუყარა ამ ჯგუფის გარშემო თავი და 1908 წლიდან იგი შეიქმნა მთავრობისათვის დამაფრთხობელ ძალად. ისინი არ უშინდებოდენ მთავრობის სასტიკ ზომებს და გმირული თავგანწირვით ცდილობდნენ სამშობლოს განთავისუფლებას უცხო ჯალათებისაგან. მაგრამ მათ არ შეუმუშავებიათ გარკვეული პროგრამა, არ ჰქონდა გეგმა ბრიტანეთის დაპყრობის შემდეგ ინდოეთის მოწყობილების შესახებ, ხალხმა არ იცოდა შინაარსი იმ თავისუფლებისა, რომლის დასაცავად მათ მოუწოდებდნენ. ამიტომ ეს მოძრაობა ვერ შეიქმნა ხალხური და ვერ მიიღო ფართო მასიური ხასიათი. ბოლოს თვით მოძრაობის ბელადებიც დარწმუნდნენ, რომ ბრძოლის კეთილად დაბოლოვებისათვის საჭიროა ხალხში თვითშემეცნების შეტანა და რევოლუციონური მოძრაობის პროცესში მშრომელი მასის ჩაბმა. დაიბადა აზრი ხალხში პოლიტიკური თვითშემეცნების შეტანის. პარტიის სამოქმედო გეზიც აქეთკენ იქმნა მიმართული.

მაგრამ ინდოეთის მოძრაობას და მის რევოლუციას მეორე მხარეც აქვს. თუ ბრიტანეთის ბატონობამ მთელს მხარეში, ერთის მხრით შეამზადა ნიადაგი დიდი ნაციონალური მოძრაობისათვის, მეორეს მხრით, ამავე ბატონობამ და ხალხის უსაზღვრო ექსპლოატაციამ ფართო გასავალი მისცა სოციალურ მოძრაობას. ინდოეთის ხალხის ეკონომიურმა პირობებმა მშრომელი მასები თავისთავად ჩააბა რევოლუციონურ მოძრაობის ფერხულში. ინდოეთის თანამედროვე ისტორია—ეს არის ბრძოლა ნაციონალური და სოციალური თავისუფლებისათვის. თუ პირველი მომენტი აღმოსავლეთის ხალხთ აერთებს და შეერთებულის ძალით უპირისპირებს ბრიტანეთის ბატონობას და მეორე მომენტი მათ ანაწილებს და კლასიურ ორგანიზაციებში აყალიბებს. ინდოეთის მშრომელი მასის მიზანი და ინტერესები მოითხოვს, არა მარტო უცხო ბატონობის მოსპობას, არამედ შინ გამოზრდილი და უცხო ძალის საშუალებით გამტკიცებულ ეროვნულ სპეკულიანტების ფეოდალების და კაპიტალისტების და მეწვლეფელების განადგურებასაც. ეს მოძრაობა ახალია ინდოეთისათვის, თუმცა მისი გამომწვევი მიზეზები საუკუნოებით არსებობდნენ. ინდოეთის ყოველ მხრივ გაყვლეფილი და დამონებული მშრომელი ხალხი დღეს იღვიძებს და ძალაში მოდის. პოლიტიკური ჯგუფები და სოციალისტური პარტიები აქამდი რომ მოქმედებდნენ აღმოსავლეთში, თან და თან რწმუნდებიან, რომ ინდოეთის ხალხის ხსნა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის გზით, რომ ერთად ერთი ძალა რომელსაც შეუძლია იხსნას დამონებული ხალხი ამ საშინელ მდგომარეობისაგან არის დღევანდელ პირობებში რუსეთის დიდი რევოლუცია. „დამოკიდებულება რუსეთისა აღმოსავლეთთან დიდ სამსახურს გაუწევდა კომუნიზმს აზიელებზე ზეგავლენის მოსაზრებით. და მოსკოვი შეიქმნებოდა ნიდერლანდის კოლონიებისათვის (და მთელი აღმოსავლეთისათვის. ს. რ.) ახალ მექად, რომელიც მოუტანდა განთავისუფლებას ექსპლოატაციისა და მონობისაგან, განუმტკიცებდა თავის, ძალაის და მთელი ინდოეთის მცხოვრებთ, ამდენი წლის დამცირების შემდეგ, ახალ თავისუფალსა და ბედნიერს ცხოვრებას“—ამბობს თავის მოხსენებაში ჰოლანდიის ინდოეთის წარმომადგენელი ს. მარინგი *)

მართლაც რუსეთის რევოლუციის ზეგავლენის ისტორიული მაგალითები ჩვენ გვაქვს. მე-19 საუკუნეში რუსეთი შეიქმნა რევოლუციის დაუშრეტელ რეზერვუარად, საიდანაც რევოლუციის ენერგია ყოველის მხრით ევლინება მთელს მსოფლიოს. რუსეთი თავისი გეოგრაფიულ და კულტურულ მდგომარეობით ნახევრად აზიური ქვეყანაა და ერთგვარ შეერთებასაც წარმოადგენს: აღმოსავლეთისა და დასავლეთის რუსეთი გადამჭრელ როლს თამაშობს თანამედროვე რევოლუციონურ მოძრაობაში და მისი საერთაშორისო დირებულება ამ მხრივ ყველასათვის უდაოა. ჯერ კიდევ „რუსეთის პირველმა რევოლუციამ გამოაღვიძა ჩამორჩენილი მხარეები, სადაც გლეხიც და მუშაც იყვლიფება თავისი და უცხო კაპიტალით, სადაც მდგომარეობა მუშისა შეუძლებელია შეედაროს დასავლეთ ევროპის მუშის მდგომარეობას და სადაც ექსპლოატაცია აღემატება შრომისა თავის უსაზღვრო სიმაღლეს აღწევს. რევოლუცია სათათრეთში, სპარსეთში, რევოლუციონური მოძრაობა ინდოეთში, [illegible] რევოლუცია ჩინეთში, ბოლოს, ძლევამოსილი რევოლუცია რუსეთში—განა ესენი საკმარისი არ არის, რომ ვსთქვათ რომ არის რაღაც პირობები რევოლუციის გასამარჯვებლად აღმოსავლეთში და—შემაფერხებელი პერიოდი ცივილიზაციისა დასავლეთში“—ამბობს მემარცხენე ესერი ვ. ტრუტოვსკი **).

რუსეთის რევოლუციის ზეგავლენა აღმოსავლეთის ჩამორჩენილ ერებზე, როგორც 1905 წ. ისე დღესაც დიდი განუზომელია. რუსეთის რევოლუციის გზები და მეთოდები დიქტატურა მშრომელი ხალხისა და საბჭოთა სისტემა, საერთოდ მთელი სოციალური შინაარსი რუსეთის რევოლუციისა მიმზიდველი ხდება აღმოსავლეთის ხალხისათვის. არ არის არც ერთი მხარე აღმოსავლეთში სადაც არ დაარსებულიყოს კომუნისტური პარტია, არ შემდგარიყოს ჯგუფები, რუსეთის რევოლუციისადმი სიმპატიებით აღჭურვილნი. ეს მომენტები დამახასიათებელი ღირსშესანიშნავი და მიმზიდველია აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრების ისტორიაში და მთელს საერთაშორისო რევოლუციონურს პროცესშიც. ძველი რკალი რევოლუციონური მოძრაობისა იხსნება და ფართოვდება. მისი საზღვარი მარტო ევროპით კი არ ისაზღვრება, როგორც ახლო წარსულში იყო, არამედ მთელი მსოფლიოთი აზია აფრიკა, ავსტრალია და სხვა ახალი ტერიტორიალური რკალებია, რომლებიც ახალი შინაარსით და ცოცხალი რევოლუციონური ძალებით შედიან საერთო სოციალისტურ მოძრაობის პროცესში.

რევოლუცია ფართოვდება, იზრდება და მთელს მსოფლიოს ხვევს თავის ალში. რევოლუციონურ ძალთა მობილიზაცია და დარაზმვა ხდება დღეს ყველგან ერთი საერთო მტრის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შესაქმნელად. რევოლუცია ყველგან ნოყიერ ნიადაგს პოულობს თავისი მიზნების განსახორციელებლად. აღმოსავლეთი ამ მხრივ დაუშრეტელი წყაროა ახალი ცოცხალი რევოლუციონური ელემენტების და სოციალური მოძრაობის გასავითარებლად. იქ მატერიალური და სულიერი მოვლენათა კომპლექსები ნოყიერ საფუძველს წარმოადგენს ახალ სოციალური ურთიერთობის დღევანდელ ნიადაგის ჩასაყრელად. საჭიროა ხდება მხოლოდ მიზანშეწონილი რევოლუციონური პოლიტიკის წარმოება საერთაშორისო მოძრაობის ხელმძღვანელთა მხრით, რათა მრავალფეროვან [illegible] ფაქტორთა შორის მტკიცედ იქმნეს სწორი რევოლუციონური ხაზი.

ხიმ. ხუნდაძე.

*) იხ. Парвус: „Колоніальная политика и крушения капиталистического строя“. გვ. 128.

*) იხ. Р. Гильфердинъ: „Фин. капиталъ“ გვ. 473.

*) იხ. „Доклады второго конгреса Ком. И—ла“. გვ. 371.

**) იხ. Трутовский: „переходный пекиод“ გვ. 14—15.

# მოხეტიალე პარადიზი

თქვენ ყველამ ერთად დაივიწყეთ მცირე ნაკადი.
მოგევლინებით ოკეანე გაბაწრულ გემით.
ამშვენებს თეატრს დაისების დიდი პლაკატი.
როგორც ყოველთვის რექვიემად დღეს არის ჩემი.
მაღალი ფარდის ფრუხუნტელი სამარადისო.
ელის მასკარადს აღტაცებით ცქერა მშიერი.
თვალთა წინაშე გაიშლება ის პარადიზი,
სადაც ხვდებიან მეატრიჩე, ალიგიერი.
ლოჟაში ბრწყინავს მალაელი და სთვლემს დეკვინსი.
ბნელი პუშკინი დუელიდან აქვე მოვიდა.
გაიხსნა ფარდა. ელვარდა დანიის პრინცი
და ოფელია აირჩია ქალწულთ გროვიდან.
მემუსიკეთა დირიჟორი ლაერტი არის.
მაგრამ დინჯია, ვით ყორანი და პალადინი.
ირიბ ორკესტრის გაგრძელება მსგავსია ქარის—
თითქო არბევენ საფლავს მოძალადენი.
დაბალ პარტერში ორკესტრიდან გადმოდის წყალი.
დაარჩობს ჰამლეტს ოფელიას უფსკრული, კაპასი.
როცა მის მკერდზე გამოჩნდება ძვირფასი ხალი,
მთელი თეატრი გახელდება, ვით შახ-აბაზი.
თეატრი იწვის, მქრობელები ვეღარ შველიან.
გაკოტრებული რეჟისორი—მეახლა ვტირი.
მაგრამ იქნება პარადიზი და ოფელია,—
უკანასკნელი წარმოდგენა ცეცხლით და რკინით.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

## რაშია საქმე?

დასასრული.

მთელ რიგ სხდომებზე, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ყველა ორგანოების (ჯანმრთელობის, სოც. უზრუნველყოფა, შრომის სახალხო კომისარიატი, პროფკავშირები) წარმომადგენლები, სავადმყოფო კასის გამგეობის წევრნი ამის შეუძლებლობაზე აშკარად, გულწრფელად ლაპარაკობდნენ და თავის სიტყვებს ასაბუთებდენ კიდევაც ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობით. ისინი იკვლევდნენ საავადმყოფო [illegible] მუშათა ორგანიზ[illegible] მულია ფართო მასებში თვითმოქმედების პრინციპზე. ისინი არ ეთანხმებოდნენ „სობესის“ და „ნარკომზდრავის“ წარმომადგენლებს, როცა უკანასკნელნი მოითხოვდნენ მუშათა კლასის გათქვეფვას და განუსხვავებელ პირობებში ჩაყენებას დანარჩენ მცხოვრებლებთან. ამ საკითხმა მწვავე ხასიათი მიიღო. მიუხედავად დადგენილებებისა, „სობესი“ და „ნარკომზდრავი“ მაინც გვედავებოდა. შრომის სახალხო კომისარიატის პოზიცია თუ წინად ამ შემთხვევაში გარკვეული და ჩამოყალიბებული იყო, შემდეგ „ცოტათი“ შეიცვალა. რადგანაც აღნიშნულ სხდომებზე კენჭის ყრის დროს ხმები იყოფოდა და შეთანხმებულ-დამაკმაყოფილებელ დადგენილების გამოტანა შეუძლებელი გახდა, ამიტომ დაადგინეს, რომ საკითხის საბოლოოდ გადაჭრა გადატანილ ყოფილიყო პროფკავშირთა საბჭოს პლენუმზე, ხოლო საავადმყოფო კასის გამგეობამ კი ეს საკითხი გადაიტანა ფართო მასათა წრეში.

ტფილისის მუშათა კლასმა მოიწონა და გაამართლა საავადმყოფო კასის გამგეობის პოზიცია, რაც აღნიშნულია ყველა იმ ოქმებში, რომელნიც მიღებულ იქნა იმ ორმოცდა ათ მუშათა საზოგადო კრება-კონფერენციებზე, რომელშიაც სათითაოდ მონაწილეობას ღებულობდა პროფესიონალური კავშირების ყველა წევრნი. თვით პროფკავშირების საბჭოთა სხდომამ აღიარა და დაადასტურა საავადმყოფო, ანუ დამზღვევ კასათა დამოუკიდებელ თვითმმართველობის პრინციპი. ამას გარდა, პროვინციის ყველა მუშა-მოსამსახურეებმა.

ბათომი, ოზურგეთი, ჩაქვი, სამტრედია, ქუთაისი, ტყიბულის ქვათური, ფოთი, სენაკი, ზუგდიდი, ხაშური, ბორჯომი და სხვა. გამოიტანეს დადგენილებანი, რომელშიაც წითელი ზოლივით გატარებულია ეს აზრი, რომ დაქირავებულ შრომით მცხოვრებთა პირობები პრინციპიალურად განსხვავდება სხვა მოქალაქეების ცხოვრების პირობებისაგან, რომ მუშათა კლასისაგან ინტერესების შეულახველად არ შეიძლება ერთნაირ პირობებში იქნას ჩაყენებული ზეინკალი და ჩინოვნიკი, ასოთ-ამწყობი და სპეკულიანტი, მადაროს მუშა და ვაჭარი, მელითონე და მიკიტანი, მჭედელი და დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილი გაკოტრებული „კნიაზი“ ან აზნაური, რომ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი უზრუნველყოფა სხვა და სხვა შემთხვევაში მაშინ იქნება შესაძლო, თუ იარსებებს განსაკუთრებული ორგანიზაცია დამზღვევ კასათა სახით, რომელიც აშენებული უნდა იყოს თავისუფალ მუშათა არჩევნების და თვითმოქმედების პრინციპზე, რომ სინამდვილეში მაშინ იქნება გაუმჯობესებული მუშათა მდგომარეობა, თუ დაცულ იქნება მისი შრომის პირობები, თუ ავადმყოფობის დროს მას არ ექნება საძებნელად ექიმი და წამალი, ამბულატორია და საავადმყოფო, სამშობიარო სახლები თავიანთ ცოლებისათვის, აგარაკები და სანატორიუმები მძიმე ავადმყოფთათვის და სხვა.

აი, რა აზრისანი არიან საქართველოს მუშები, აი რა უნდათ იყოს მიღებული მხედველობაში და დაცული პრაქტიკულ მოქმედებაში, თორემ ცხოვრებას თავისი ურღვეველი კანონები აქვს და იგი ყოველთვის გვიკარნახებს არა იმას, რაც ჩვენ „გვსურს“, არამედ იმას, რაც მის ყოველდღიურ გამოცდილების სინამდვილეს შეეფერება. არ კმარა იმით თავის მართლება და იმაზე მითითება, რომ რუსეთში საავადმყოფო კასები არ არსებობენ, რომ სოციალური დაზღვევის საქმე „სობესის“ და „ნარკომზდრავის“ ხელშია. ჩვენ ვიცით, და არც არავისთვის არ არის საიდუმლო, რადგან ამას თვით მოსკოვის და ტფილისის გაზეთებიც იწერებიან, რომ მუშათა კლასისთვის საჭიროა დაზმარების საქმე და საზოგადოთ ამ სფეროში მისი ელემენტარული მოთხოვნილებები, თითქმის ბიუროკრატიულ „ვოლოკიტის“ მეოხებით, დაუკმაყოფილებელი რჩებიან.

გულდამწუხარნი აგრაფინა დავიდის ასული და ძმები ლოლუები, ლავრენტი და კოწია ჩიქოვანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სოფ. აბაშაში (სენაკის მაზრ.) სექტემბრის 5-ს დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი პირველის დედისა და მეორესი სიდედრის, მესამესი დედის

**ლიზა გიჟია ხოფერიას ასული ჩიქოვანის**

სულის მოსახსენებლად. 1261

ჩვენ არ გვინდოდა გაგვემეორებინა ის შეცდომები, რომლებმაც ცუდი შედეგები მოუტანა რუსეთის პროლეტარიატს, და მიტომაც მოვითხოვდით და მოვითხოვთ დამზღვევ კასათა დამოუკიდებელ თვითმართველობას. მუშათა კლასის ხაქმეს უნდა განაგებდნენ არა ზემოდან დანიშნული ჩინოვნიკები, არამედ მუშებიდანვე გამოყოფილი და მათ მიერ არჩეული პირები. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვიქონიოთ იმედი და გარანტია, რომ ორგანიზაცია არ იქნება „ცოცხალ-მკვდარი" და მას მჭიდრო კავშირი ექნება გამბული მუშების ფართო მასებთან.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა კონფერენციაზე აცხადეს, რომ მუშებისათვის საექიმო დახმარების საქმე რაციონალურად მოწყობილიყო, ამიტომ ეს თვით მუშებს გადაეცით, დამზღვევ კასების სახით. ეს მართალია, და ამის შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი, მაგრამ... არ კმარა მარტო აღიარება. ყოველივე აუცილებელი უფლებები დამტკიცებულ უნდა იყოს კანონით და ეს კანონი კი — ცხოვრებაში გატარებული.

რისი მოწმენი ვართ ეხლა? ერთის მხრით დეკრეტის ძალით შემოღებულია სოციალური დაზღვევის ყველა სახეები, სინამდვილეში კი არსებობს მხოლოდ ავადმყოფობისა და დასახიჩრებისა დაზღვევა, მეორეს მხრით, დეკრეტის ძალით დამზღვევი კასები თითქოს „უფლება მინიჭებული" ორგანოები არიან, ხოლო სინამდვილეში მათ „მოთმინების" და „დამაცადე"-ს თვალით უყურებენ, მესამე მხრით თითქოს კასის მონაწილეთათვის სხვა და სხვა საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე დამზღვევ კასებს აქვს მინდობილი, მაგრამ სინამდვილეში კი, მეტი რომ არა ვსთქვა, საქმე ძლიერ „კოჭლობს", მეორე მხრით...

მაგრამ რამდენი უნდა ჩამოვთვალო ხან ერთი მუხლის უფლებას შეგვიკვეცავენ, ხან მეორეს, ხან სახელის წაგვართმევენ, ხან კალთას შეგვიმოკლებენ...

მიმდინარე ცვლილებების გამო წამოიჭრა აუარებელი პრინციპიალურ-პრაქტიკულ ხასიათის კითხვები, რომლების მიზანშეწონილ გადაწყვეტილებაში კოლექტიური მონაწილეობა უნდა მიეღო საქართველოს დამზღვევ კასების წარმომადგენლებს და უპირველეს ყოვლისა ტფილისის ცენტრალურ დამზღვევ კასის დელეგატებს. ამ მხრივ კასის გამგეობამ მოახდინა რწმუნებულთა ახალი არჩევნები. (წინად, როცა კასაში 4-5 ათასი კაცი შემოდიოდა, 10 მუშაზე ერთი დელეგატი ირჩეოდა, ხოლო როცა კასის მონაწილეთა რიცხვი ოცდა ათი ათას აღემატა მაშინ ნორმა შეიცვალა: 50 კაცზე ერთი წარმომადგენელი სულ 600—650 რწმუნებულები).

ამ რწმუნებულთა საზოგადო კრებას, სხვათა შორის, უნდა აერჩია ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია დამზღვევ კასისათვის, მაგრამ... მივიღეთ ცნობა, რომ ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო არა რწმუნებულთა ინსტიტუტის მეოხებით, რომელიც მოსპობილად ითვლება, არამედ შრომის დაცვის კომისიების და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების კონფერენციის საშუალებით — არავითარმა დასაბუთებულმა მოსაზრებამ არ გასჭრა და, გადაწყვეტილება ძალაში შევიდა.

ივლისის 10, არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში მოწვეული იყო ზემოხსენებულ შემადგენლობის კონფერენცია. გამოირკვა, რომ შრომის დაცვის კომისიები არამც თუ დაწესებულებებში, არამედ წარმოებებშიაც არ არის დაარსებული, ხოლო არსებულ კომისიების წევრთა საერთო რიცხვიდან (400) და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების წევრთა მიმატებით მოგროვდა სულ რაღაც 140 კაცი. ამ რიცხვიდან ნახევარზე მეტი წავიდა იმ გრძელ მოხსენების შემდეგ, რომელიც შრომის დაცვის განყოფილების წარმომადგენელმა გააკეთა, მაშა კონფერენციის პრეზიდიუმი მაინც „შესაძლოთ" სთვლიდა ასეთ კრებაზე გამგეობის და სარევიზიო კომიის არჩევას. ამან გამოიწვია პროტესტები და კრება გადიდო მომავალ კვირისათვის, ესე იგი ივლისის 17-თვის.

რადგანაც აღნიშნულ დროისთვის კონფერენციის მომწვევთ თითქმის არავითარი ზომები არ მიუღიათ, ამიტომ კრებაზე გამოცხადდა რაღაც 20—30 კაცი. კასის გამგეობამ ძეიტანა წინადადება, რომ მიეღოთ მისთვის როგორც კრების დანიშვნის დრო, აგრეთვე საჭირო ზომების მიღება, მაგრამ ეს თითქმის „შეურაცხყოფადაც იქნა მიღებული": ამხ. ადილოვაძის და სხვების მიერ.

კრება ხელმეორედ გადიდო და დაინიშნა ივლისის 20-თვის კინო-თეატრ „მინიონში".

დანიშნულ დროზე ხალხი ბლომათ მოგროვდა, ზალა გაჭედილი იყო და აქაიქ უკმაყოფილების რეპლიკები გაისმოდა. მაგრამ... ისევ წყეული „მაგრამ". როცა გამგეობის წარმომადგენელს ხეირიანად არც კი ქონდა დამთავრებული მოხსენება და როცა მოსასმენი იყო დანარჩენი მოხსენებები, როცა საჭირო იყო გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები, ამ დროს ერთ-ერთი პროფკავშირის საბჭოს წევრი თხოულობს „წესრიგისთვის" სიტყვას და აცხადებს, რომ კრება გადადებულ იქნას, რადგან ზალაში ხალხი ვერ ეტევაო. მართლაც, ორიოდე წუთით წინ, ერთბაშად სადღაციდან გაჩნდა მოზრდილი ჯგუფი, რომელმაც შეტანილ წინადადებას ტაშის დაკვრით გამოეხმაურა. ეს ისეთი გაუგებარი რამ იყო, რომ პირველად უადგილო მასხარაობად ეჩვენებოდა აღამიანს. მიუხედავად იმისა, რომ კრების გაგრძელება სრული შესაძლო იყო, აგრეთვე უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელი იყო წავსულიყავით არტისტიულ საზოგადოების ან სახელმწიფო თეატრის ბინაზე — კრება მაინც გიჟების ჩაშალეს, რასაც ზოგიერთები მეტი აღფრთოვანებით და ოვაციებით შეხვდნენ.

თვალებ გაშტერებული მუშები ერთი მეორეს ეკითხებოდნენ:

— ძითხარი, თუ ძმა ხარ, რაშია საქმე? მოვდივართ ხაბალოვკიდან, ორთაჭალიდან და დიდუბიდგან, რომ კრებაში მონაწილეობა მივიღოთ და ხან ხალხის მოუსვლელობის გამო სდებენ კრებას, ხან ხალხის სიმრავლით! საოცარი ამბავია თავი ხუ მოიკვდება...

და მართლაც, ამ კრების მოულოდნელმა ჩაშლამ მეტის მეტი ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე.

კასის გამგეობის წევრებზედაც, რასაკვირველია, უცნაურად იმოქმედა ამ ამბავმა, რადგან ყოველივე მოსაზრებით სასურველი და აუცილებელი იყო კრების მოთავრება. აუცილებელი და სასურველი იყო მით უმეტეს, რომ თითონ მოითხოვდნენ გამგეობის ახალ არჩევნებს. მიუხედავათ ამისა, ვიღაცამ მოისურვა, რომ კრება ჩაშლილიყო, ხოლო რა მიზეზებით ან რა მოსაზრებებით — ეგ შენ უწყი, ალლაჰო!

კასის გამგეობის წევრი ასოთ-ამწყობი

ხ. კილაძე

P. S. ალბად, ახლო მომავალში მოწვეულ იქნება მოთხე კრება. აუცილებელი საჭიროა, რომ ამ კრებას დაესწრონ შრომის დაცვის კომისიის წევრნი, სადაც ასეთები არსებობენ, და აგრეთვე აღგილობრივ და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების წევრები (ავტონომიური კომისიებს, ხოლო ძლიერ კარგი კი იქნებოდა, რომ დაბოლოს კონფერენციის მოსაწვევად მიიღებდნენ საჭირო ზომებს და მეოთხე ჯერ მაინც არ გადასდებდნენ..

ხ. კ.

# რკინის გზა *)

მგონი ყველასათვის ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ რკინის გზა და სხვა მიმოსვლის საშუალებანი ხალხის საჭიროებას დასაკმაყოფილებლად უნდა არსებობდეს, სამწუხაროდ, დღეს ეს ჭეშმარიტება მივიწყებულია და ჩვენი რკინის გზა გადაიქცა ისეთ დაწესებულებად, სადაც ხალხი ათასგვარ დამცირებასა და შევიწროებას განიცდის. ჯერ არის და რკინის გზის ბილეთის აღებას უბრალო მომაკვდავი სხვაფრივ როგორ მოახერხებს, თუ ორი სამი დღე რიგში დგომას არ შესწირა. მაგრამ ვთქვათ, შესძლო ბილეთი აღება. ახლა ბაქანზე გასვლას არ იკითხავთ? დარბაზიდან ბაქანზე გასავლელი კარები ნამდვილ ბეწვის ხიდს წარმოადგენს და იშვიათი შემთხვევაა რომ მგზავრი ან არ გასჭყლიტონ, ან არ სცემონ, ან ჯიბეები არ დააჭრან. ამის შემდეგ თავპირჩამტვრეული ხალხი ჩქარობს ვაგონში შესვლას, მაგრამ დიდი ბედნიერებაა თუ ეს რამენაირად მოახერხა: მიდიხარ ერთ ვაგონთან, მარა კარებში ჩამდგარი მცველი უკმეხად გეუბნება!

— ეს ადგილი შტაბისთვის არის!

მიდიხარ მეორესთან, მაგრამ შორიდანვე ამჩნევ. რომ არც აქ გამოვა რამე, ვინაიდან იქაც თოფიანი დარაჯი სდგას კარებში.

— ეს ვაგონი ჩეკასთვის გახლავთ!

მესამე ვაგონთან გეუბნებიან, რომ ეს ვაგონი პირველი კლასის არის და შიგ არავის უშვებენ თუ განსაკუთრებული ნებართვა არა გაქვს... მეოთხე ვაგონი კიდევ წითელ არმიელთათვის ყოფილა ხოლო მეხუთე ვაგონი ფოთში მიდის და ბათომისკენ მიმავალ მგზავრებს შიგ არ უშვებენ. ასე და ამ გვარად მხარზე ხურჯინ გადაკიდებული დარბიხარ ერთი ვაგონიდან, მეორე ვაგონამდე, მეორედან მესამესაკენ და ასე ბოლომდის, მარა თქვენთვის ყველგან კარები დახშულია, ვინაიდან შენ ხარ უბრალო მოქალაქე, უბრალო ამხანაგი, ხოლო ვაგონები რჩეულთათვის ყოფილა დანიშნული!..

საცაა მატარებელი დაიძვრის და მგზავრები კი გადაგლეჯილი გარბიან წინ და უკან, ეხეთქებიან ერთი მეორეს, მაგრამ მაინც იმედს არ კარგავენ, რომ როგორმე სადმე შეძვრებიან. დაჰკრეს მესამე ზარი, ორთქლმავალმა დაიყვირა და გარედ დარჩენილები ვაგონის კიბეებს ჩამოეკიდნენ, ზოგნი კიდევ ვაგონსა და ვაგონს შუა გადასაბმელზე გამაგრდნენ, ხოლო უფრო ბედნიერები ვაგონის დერეფანში შეძვრნენ. დატრიალდნენ მილიციონერები და კიბეებზე ჩამოკიდებული ხალხი პანტასავით ჩამოჰყარეს კიბეებიდან; მგზავრები მაინც არ იშლიან და მიდის მილიციონერი თუ არა, ისევ წურბელივით ჩამოეკიდება რომელიმე ვაგონს. რჩეული ამხანაგები კი რომელთაც „განსაკუთრებული", ან სხვა რაიმე პრივილეგიური მდგომარეობა მოუთვისებიათ, ღიმილით დასცქერიან ყოველ გაჭირვებისა და ღირსება-უპირატესობა მოკლებულ ამხანაგებს, რომელთაც ამდენი წვალება გადიწყვიტეს, ხოლო მათ გვერდით მდგომი „დამები", თითქოს თანაგრძნობით ამბობენ.

— ოხ, კაკ ჟალკო, ბედნი ნაროდ!

ოცდა ოთხ ივნისს ტფილისიდან ბათომის მატარებლით მომიხდა გამგზავრება. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის გაჭირვება, რაც მე ამ მგზავრობის დროს გადამხდა. ღვთის წინაშე, ჩემი სავალი გზები არასოდეს არ ყოფილა ია-ვარდით ფენილი, ყოველთვის ვიტანდი შევიწროებას და დამცირებას, ვინაიდან არასოდეს, მისარგებლნია სხვა და სხვა პრივილეგიებით, მაგრამ, სულ ამ უკანასკნელ მგზავრობის დროს რაც მე გადამხდა, ყველა გავლილი უბედურება ერთბაშად გადამავიწყდა და გულმოსული ვეკითხებოდი ჩემს თავს:

— ნუ თუ ახლაც, [illegible] ველ ეგრე უნდა იყოს!..

იმ წვალებისა და დავიდარაბის შემდეგ, რომელთა შესახებაც ზემოდ მოგახსენეთ, და, რომელიც მეც გადამხდა სხვებთან ერთად, როგორც იყო, დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, კონდუქტორმა ქეთილ ინება და ფოთის ვაგონში შესვლის ნება მომცა. ეს „მანიფესტი" მაშინ ინება მან გამოეცა, როცა ვაგონი ყელამდე სავსე იყო და შიგ არა თუ დასაჯდომ, დასადგომ ადგილსაც ვერსად იშოვიდით. როგორც იყო, მოვეწყე და მატარებელიც დაიძრა.

გავიარეთ რამდენიმე სადგური და ჩამოაწყლდა. ვაგონში ისეთი სიმწვლე იყო, რომ მგზავრები ერთმანეთს ვეღარ ვარჩევდით და ფეხებით ვსთელავდით გასასვლელ ადგილებში იატაკზე განართხულ მგზავრებს. ფარნების ანთებისთვის თავს არავინ იწუხებდა და მხოლოდ პაპიროსის მოსაკიდებლად ანთებული წუმწუმა თუ გაიელვებდა ხანდახან უკუნეთ სიბნელეში. ასეთი მდგომარეობა, ასეთი სიბნელე მშვენივრად უწყობს ხელს სხვის ჯიბე-უბეში მონავარდე „ამხანაგებს" და ისინიც გულმოდგინედ შეუდგნენ მუშაობას. ერთ მგზავრს 150.000 მანეთი ამოაცალეს, მეორეს ჩემადანი გაუჭრეს და სულ ერთიანად დაუცარიელეს, ხოლო მესამეს, რუსის ქალს, მოსტაცეს პატარა ჩემადანი, რომელშიაც რამდენიმე წყვილი საცვალი ჰქონდა და აბაშაში მიდიოდა საცვლების სიმინდზე გადასაცვლელად.

გაქურდული მგზავრების ტირილი და გოდება იუპიტერსაც დაალონებდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ამ უბედურების მიზეზნი იქვე იყვნენ და სიამოვნებას გრძნობდნენ მხოლოდ ასეთი უხვის ნადავლის გამო.

გული სევდითა და ვარამით ამევსო, მით უმეტეს, რომ ჩემს ვაგონს სამტრედიაში მოხსნიდნენ და მე რაღა უნდა მექნა, როგორ უნდა გამეგრძო გზა?. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე სხვა ვაგონში გადავსულიყავ სანამ სამტრედიაში მივიდოდა მატარებელი, ვინაიდან ვიცოდი, რომ სამტრედიაში აუარებელი მგზავრები დაგვხვდებოდა ბათომისაკენ მიმავალი და ჩემი გატეხილი ჯანის პატრონი იქ როგორ მოახერხებდი ვაგონში შესვლას ვისარგებლე იმით, რომ მატარებელი რაღაც მიზეზისა გამო სამი საათი გაჩერდა სადგურ მოლითზე, ავიკიდე ჩემი ბარგი-ბარხანა და „განსაკუთრებულ" ვაგონში შევედი. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამ ვაგონში მხოლოდ ათიოდე მგზავრი იყო, კუპეები ცარიელი იყო და ეს იმ დროს, როდესაც სამგზავრო ვაგონებში ხალხი ერთმანეთზე ეწყო.

— მოწმობა გაქვს?—მკვახედ შემეკითხა კონდუქტორი, როდესაც მატარებელი დაიძრა.

მე თითქო ვერ ვაგებე, რაშიც იყო საქმე და ავადმყოფობის მოწმობა მივაწოდე.

— ავად რომ ხარ, ამას შენი გაცრეცილი სახე ამტკიცებს, მე ამ ვაგონით მოგზაურობის ნებართვას გეკითხები!— დამიყვირა კონდუქტორმა.

თავი გავაქნიე და დერეფანში გამოვედი. კონდუქტორი გამომყვა და არც იქ დგომის ნება მომცა. მე გავედი და სხვებთან ერთად ვაგონების გადასაბმელზე გავჩერდით. აქ ათიოდე კაცს მოეყარა თავი, ერთმანეთს დაძღაუქებოდნენ და ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, რადგან ეს ადგილი მოძრაობის დროს დროს გაიწ-გამოიწევა ხოლმე. ყოველ წამს განსაცდელი მოგველოდა, მარა მეტი რა გზა იყო. დარჩენას ისევ ეს ვირჩიეთ.

გაჩერდა თუ არა მატარებელი სადგურ ყვირილაზე, მოგვცვივდნენ მილიციელები და ფეხებით ჩამოგვათრიეს ძირს. ერთი დედაკაცი გაჭირვეულდა. ეს მეორედ მატოვებთ აქ და მეტი აღარ შემიძლიაო. გმირი მილიციონერი სავარდა ჯიუტ დედაკაცს, ჩასჭიდა ხელი მკლავებზე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოსწია ჯიუტი დედაკაცი. ქალს ხელართანი მოსძვრა პლატფორმაზე და მისი შეკრული ბარგი ორად გაიყო... დანარჩენ მილიციონერებს არ მოეწონათ „ამხანაგის" ასეთი ჯიუტობა და შენიშვნა მისცეს:

— ნე პრ-ვილნო პო[illegible]ტ[illegible] ტოვარიშჩ!

ამ ამბის შემდეგ ვიღაცა ამხანაგის ხელშეწყობით შევედი ძველ ადგილზე და მატარებელიც დაიძრა [illegible] თვალები გამიშრა.

სამტრედიაში უკანასკნელი ვაგონი მოხსნეს. და მე მაინც იძულებული გავხდი ადგილი მომეძებნა. ამ სადგურზე ხამდვილი ომი გაიმართა, უსისხლო ომი, ვინაიდან მხოლოდ მუშტები მოძრაობდნენ. მე გავექანე და შევედი ჩეკას ვაგონის დერეფანში. ეს გამაბედვინა იმ გარემოებამ, რომ ჩემზე წინ ამავე ვაგონში შევიდა ერთი ტიკტორიანი გლეხი და ამან მაფიქრებინა ალბად ჩეკელები შევიდნენ ხალხის გარემოებაში და ვაგონი ხალხს დაუთმეს მეთქი.

ჩქარა ჩეკას ვაგონში შემოვიდა ჩემი სიყრმით ნაცნობ-ამხანაგი ი.—ძე, რომელსაც როგორც სჩანს დიდი თანამდებობა უნდა ეკავოს ჩეკაში. მან დერეფანში მდგარი ხალხი გაიწი-გამოსწია და დიდი ამბით მიიმალა ვაგონის სიღრმეში, ისე რომ ჩემთვის ხმაც არ გაუცია..

რა არის წუთისოფლის ცვალებადობა! ერთად ალევიზარდეთ ერთად გადავიტანეთ ხელოსნის ქადილის გასაჭირი, ერთად ვიყოფდით ქირსაც და ლხინსაც, ერთი სიტყვით ვიყავით ნამდვილი ამხანაგები. შემდეგ გარემოებამ ერთმანეთს დაგვაშორა; ის სხვა პარტიაში მოყვა, მე სხვაში მას არ მოსწონს ჩემი პარტია, როგორც „არა ჭეშმარიტი სოციალისტი", თავი ნამდვილ სოციალისტათ მოაქვს და რა გასაკვირველია რომ ჩემისთანა უბრალო მომაკვდავი, უბრალო მუშა აღარ იკადროს და პირი ამარიდოს! ამ კაცზე ამბობენ, მან გვარი გამოიცვალა და ახლა ს—ნათ იხსენიება. გამახსენდა სადღაც წაკითხული:

— ქართველი კაცი რომ რუსის შლაპას დაიხურავს...

და ჩემთვის ვთქვი:

— ქართველი კაცი რომ თავის გვარს რუსულ გვარით შესცვლის...

ამის შემდეგ მივიდა შეიარაღებული დარაჯი და დერეფანიდან გამომაძევა. ღმერთმა აკურთხოს მისი ოჯახი: დერეფნიდან კი გამაძევა, მაგრამ კიბეზე დგომის ნება კი მაინც მომცა. „ჰყავს რომ კატლი გააგდებინო, ისიც კარგია"-მეთქი გავიფიქრე და შევურიგდი ჩემს ხვედრს, თუმცა გული მაინც არ მისვენებდა.

უკანასკნელი შენიშვნა. ასეთი გაჭირვება მუდამ დარჩება თუ საგანგებო დანიშნულების ვაგონების გარდა საკმაოდ გამოყვლდება საზოგადო სარგებლობისათვის. მოეწყობა განათების საქმე და ადგილობრივ მიმოსვლის მატარებლებს ვაგონების რიცხვს გაადიდებენ.

ეს ასეა. მაგრამ ეს ვაჭარ-სპეკულიანტები რომ თავისუფლად დასეირნობენ „განსაკუთრებული" ვაგონებით?

ნუ თუ ამას ყურადღება არ უნდა მიექცეს?

ი. ტ—ძე.

*) იბეჭდება დაგვიანებით. რედ.

## ჩვენი ფოსტა

დ. მელაშვილს—ჩამოდით დაუყოვნებლივ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგა** აგვისტოს 13-ს სარეგისტრაციო მოწმობა ტფ. სამხედრო უფროსისგან მოცემული და ბეჭედითი პროფკავშირის სამწევრო მოწმობა. გთხოვთ გამოაცხადოთ გაუქმებულად.

პეტრე ანდრიას ძე აბალკაცი.

**დაიკარგა** პასპორტი ქ. ტფილისის გლეხთა სამმართველოდან ეგორე პოლოს ძე ალამჯანოვის სახელობაზე რაიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1260

**დაიკარგა** პასპორტი ლეჩხუმის ს ა ზოგადოებისაგან მოცემული ერთი წლის ვადით. გთხოვთ გამოაცხადოთ გაუქმებულად.

კალისტინა გიორგობიანი.
1259